




სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლავითი ცენტრი




ოსპის წარმოების ტექნოლოგია

www.moa.gov.ge



სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფერმერებისთვის



თბილისი 2015

ოსპის კულტურის დახასიათება

ოსპი *Lens esculenta* *Lens culinaris* არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი პარკოსანი კულტურა, რომლის მოყვანა დადასტურებულია ისტორიამდელ დროში.

ცილის შემცველობით ის სჯობნის ლობიოს, ბარდას, მუხუნოს და სხვა სამარცვლე პარკოსან კულტურებს. ის წარმოადგენს ადამიანისთვის მნიშვნელოვან საკვებ პროდუქტს. მისგან მზადდება მრავალნაირი კერძი, იყენებენ ძხვების წარმოებაში ამზადებენ მრავალგვარ კონსერვებს გამოიყენება ყავის სუროგატად და სხვ. გარდა სასურსათო დანიშნულებისა მას აქვს დიდი აგროტექნიკური მნიშვნელობაც, როგორც ყველა პარკოსანი კულტურა. ოსპის ფესვებზე სახლდება კოჟრის ბაქტერიები, რომელთა მეშვეობით ხდება აზოტის ფიქსაცია, ამით ის ამდიდრებს ნიადაგს. ოსპის ამ თვისებების გამო ის საუკეთესო წინამორბედია ყველა კულტურისათვის გარდა პარკოსნებისა.



სურ 1. ოსპის კულტურის ბოტანიკური სქემა

ოსპის მაღალი გვალვაგამძლეობა, ყინვაგამძლეობა და მდგრადობა მემარცვლიას მიმართ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კულტურისათვის. მაღალი ტენიანობის პირობებში ხდება მცენარის სწრაფი ზრდა დიდი ვეგეტატიური მასის განვითარება, რის გამოც მცირდება მარცვლის მოსავლიანობა.

ოსპი აწვითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას, რომელზედაც დიდი რაოდენობით სახლდება კოჟრის ბაქტერიები, რომელთა მეშვეობითაც ხდება აზოტის ფიქსაცია. ამ და სხვა დადებითი თვისებების გამო ის ნიადაგს ტოვებს გამდიდრებულს და საუკეთესო წინამორბედია ყველა კულტურისათვის გარდა პარკოსნებისა.

ნიადაგის მოვლა და თესვა

საქართველოში ამჟამად

დარეგისტრირებული (გასაწვრივებლად დაშვებული) ჯიშები არის ყინვაგამძლენი, ამიტომ ის ითვლება შემოდგომაზე.

მის დასათესად ნიადაგის მომზადება იწყება წინამორბედი კულტურისგან ნაკვეთის განთავისუფლებისთანავე. სარეველები დიდ ზიანს აყენებს ოსპის კულტურას, ამიტომ საჭიროა მოხვნის წინ შეტანილ იქნას ტოტალური მოქმედების ჰერბიციდი 2-3 კვირის შემდეგ უნდა მოიხნას 25-27 სმ სიღრმეზე. შემდეგ უნდა დაკულტივატორდეს და მოსწორდეს. ან მოხვნის წინ სასურველია აჩერვა სარეველების გამოტყუების მიზნით.

ფერმერებმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ოსპისათვის დასათეს ნაკვეთში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ორგანული სასუქის შეტანა, რადგანაც ის იწვევს მცენარის ლალ ზრდას, მცენარე წვება ვეგეტაცია ხანგრძლივდება, რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. უნდა ჩატარდეს ნიადაგის ანალიზი და საჭიროების მიხედვით თესვის წინ ან უშუალოდ თესვის დროს უნდა შევიტანოთ $N_{30}P_{60}K_{45}$ სასუქი.

ფერმერმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ სათესლე მასალა შეძენილ უნდა იქნას სანდო პირისაგან და მას თან უნდა ჰქონდეს თესლის ხარისხის დამადასტურებელი საბუთი. (სერთიფიკატი, ეტიკეტი და სხვ.) დათესვის წინ აუცილებელია თესლი დამუშავდეს პესტიციდით. თესვის წინ ნიტრაგინის ან რომელიმე კოჟრის ბაქტერიების შტამების შეტანა აუმჯობესებს მოსავლიანობას.

საქართველოში ამჟამად დარეგისტრირებული ჯიშები „პაბლო“ „წილკანი“ და „ზედაზენი“ არის ყინვაგამძლე მცენარეები და მათი თესვის საუკეთესო ვადებია ნოემბრის მეორე ნახევრიდან მარტის პირველ დეკადამდე, დაგვიანებული თესვა იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით ოსპის თესვის საუკეთესო წესია მწკრივთაშორის 25 სმ. ჰექტარზე მცენარეთა რაოდენობა (2 მილიონი) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ რაოდენობის აღმოცენების უნარის მქონე თესლით.

თესვის ნორმა განისაზღვრება თესლის ზომის მიხედვით (ჯიშების მიხედვით) 60-120 კგ/ჰა-ზე თესლის ჩათესვის სიღრმე 4-6 სმ.



ოსპის ახალი ჯიშ „პაბლო“



ოსპის ახალი ჯიშ „წილკანი“

ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სარეველა მცენარეები განსაკუთრებით საშიშია ოსპისთვის განითარების საწყის ფაზაში. ამიტომ, აუცილებელია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა პერბიციდით (თუ ამის საშუალებას მოგვცემს ამინდი დღე-ღამური ტემპერატურა). უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა გათონა. ხოლო შემდგომ პერიოდში შესაძლებელია გაიმარგლოს სარეველებისაგან (მორწყვას არ საჭიროებს).



ბრძოლა მავნებლებთან და დაავადებებთან

ლიტერატურული მონაცემებით, ოსპის მარცვალს აზიანებს მემარცვლია, რაც ჩვენი ხანგრძლივი გამოკვლევების პირობებში არ შეგვინიშნავს, და ჩვენი აზრით განპირობებულია ოსპის ადრეულობით (მისი მოსავალი იღება ივნისის ბოლოს). დაავადებათაგან ოსპს უჩნდება ჟანგა, რაც სწორი აგროტექნიკით და შესაბამისი ამინდის პირობებით შესაძლებელია ავიცილოთ თავიდან. ასევე ფუზარიოზი, რომელიც არ იწვევს ნათესის მთლიან განადგურებას, მაგრამ ამცირებს მოსავლიანობას და მოსავლის ხარისხს.

მოსავლის აღება

ოსპის მოსავლის აღება უნდა დაეწყოთ როდესაც მცენარის ქვედა და შუა იარუსის პარკები გაყვითლდება და განმება. შესაბამისად, მცენარეს ფოთლები უხმება და ცვივა, მიუხედავად იმისა, რომ წვეროზე შესაძლებელია იყოს ფოთლები და პარკები, რომლებიც მეტწილად ცარიელია. ოსპის მოსავლის აღება შესაძლებელია კომბაინით, რადგანაც მცენარე დაბალია, ამიტომ საჭიროა კომბაინის დაბალ ჭრაზე დაყენება (ამიტომ საჭიროა ნაკვეთი იყოს მოსწორებული რომ აღების დროს მიწა არ შეყვეს). შესაძლებელია, აგრეთვე მოსავლის აღება ორ ფაზად: ჯერ გაითიბოს და შემდეგ გამომშრალი მასა გაილეწოს კომბაინით.

მოსავლის აღების დაგვიანება იწვევს მარცვლის, როგორც ხარისხობრივ გაუარესებას, ასევე რაოდენობრივ შემცირებას. აღებული მარცვალი აუცილებელია გაიშალოს დახურულ კალოზე, მალევე მოხდეს მისი გაწმენდა და დამახარისხებელ მანქანაზე გატარება. 14% ტენიანობის შემთხვევაში თესლი უნდა ჩაიყაროს ტომრებში და დასაწყობდეს მღრღნელებისაგან დაცულ ადგილას.



ოსპის მოყვანის ტექნიკური რუქა (მინიმალური მოსავალი 1.5 ტ/ჰა.)

ჩამონათვალი	მარეგენებელი	ერთეულის ფასი, ლარი	შსრულების ვალები	ღირებულება, ლარი	მოსავლიანობა		
					20/ჰა	2.50/ჰა	30/ჰა
თესლი	100 კგ/ჰა	3		300	300	300	300
მინერალური სასუმი							
N ₄₅ P ₅₀ K ₄₅	250კგ	1.5		375	375	375	375
ჰერბიციდი	2 ლიტრი	50		100	100	100	100
პესტიციდი	100 მლ			10	10	10	10
აბროთექნიკური საშუალებები							
მონვინი წინა ტოტალური მოქმედების ჰერბიციდის შეტანა	1 ჰა	55	VIII-IX	55	55	55	55
მონვინა	1 ჰა	150	IX	150	150	150	150
დადისკვა	1 ჰა	75	X	75	75	75	75
კულტივაცია	1 ჰა	55	XI	55	55	55	55
თესვა NPK შეტანა	1 ჰა	55	XI	55	55	55	55
ჰერბიციდის შეტანა	1 ჰა	40	IV-V	40	40	40	40
თესლის დამუშავება პესტიციდით	0.5 კატ.დღე	30	XI	15	15	15	15
სათესზე დამხმარე	0.3 კატ.დღე	30	XI	10	10	10	10
სარეველების წინააღმდეგ თუნბა და მარგვლა	35 კატ.დღე	25	IV-V	875	875	875	875
მოსავლის აღება კომბინით	1 ჰა	120	VII-VIII	120	120	120	120
მოსავლის გაშლა საცავში	0.5 კატ.დღე	25		12.5	12.5	12.5	12.5
თესლის განმენდა	1 კატ.დღე	30		30	30	30	30
თესლის დასაწყობება	1 კატ.დღე	30	VII	30	30	30	30
სხვადასხვა ბაუმთაღისწინაბედი ხარჯები				100	100	100	100
მთლიანი ხარჯი				2407.5	2407.5	2407.5	2407.5
წმინდა მოგება				2092.5	3592.5	5092.5	6592.5

შემდგენლები : ჰაპა ვაჩუჟილი, ლევან ტყეშელაძე, ნატო კაკაბაძე



www.moa.gov.ge



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

www.srca.gov.ge